ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე, მოქალაქე ტარიელ ასათიანისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ტარიელ ასათიანის განცხადება /2012 წლის 21.11 Nა–9583/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N48 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ტარიელ ასათიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე /საერთო ფართობი 82,34 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 47,20 კვ.მ, დამხმარე ფართობი 35,14 კვ.მ./ მოქალაქე ტარიელ ასათიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი ბ.ბრეგაძე